ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №4

დაბა ქედა, **20 ივნისი, 2025 წელი**

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 11:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ვაჟა აბულაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი;
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნესტანი ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტუქტურის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

20.06.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
3	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
4	ვაჟა აბულაძე	კომისიის წევრი	
5	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
6	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
7	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	
8	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წერიგი:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურში მდებარე მოქალაქე ჯემალ ბერიძის უძრავი ნივთის (ს/კ 21.07.34.721) მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელდების თაობაზე;**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე - ლევან ბერიძე.

2. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა.**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე - ლევან ბერიძე.

1. მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 30 მაისს შემოვიდა (განცხადების ნომერი:N:06-95251504-95; განცხადების თარიღი:30.05.2025) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი სოფელ საბადურში მცხოვრები მოქალაქე ჯემალ ბერიძის განცხადების თაობაზე, რომელიც მოითხოვს მისამართის მინიჭებას უძრავ ნივთზე, რომლის საკადასტრო კოდია 21.07.34.721.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია წარმოდგენილი დოკუმენტებით გავიდა ადგილზე საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან ერთად. ტერიტორიული არეალის დათვალიერებით და ელექტრონული რუკის შესაბამისად დადგინა, რომ მიზანშეწონილია სოფელ საბადურის მე-3 ქუჩა გაგრძელდეს ორთოფოტოს შესაბამისად და უძრავი ნივთის მიმდებარედ არსებულ საავტომობილო გზას მიენიჭოს სოფელ საბადურის ქუჩის სახელწოდება ნუმერაციით სოფელ საბადურის მე-4 ქუჩა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრმა რომან დავითაძემ განაცხადა, რომ მიზანშეწონილია სოფელ საბადურში არსებული უსახელო ქუჩების სახელდებაც განხორციელდეს, რითაც სოფელ საბადურში აღნიშნული პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება.

კომისიის წევრმა არჩილ გორგილაძემ აღნიშნა, რომ სოფელ საბადურში უსახელო ქუჩებს მიენიჭოს სოფელი საბადურის მე-4 ქუჩის I ჩიხი, სოფელი საბადურის მე-4 ქუჩის II ჩიხი და სოფელი საბადურის მე-5 ქუჩა. ასევე გაგრძელდეს სოფელს საბადურის მე-3 ქუჩა სოფელ კანტაურის საზღვრამდე. აღნისნული დასახელებები დატანილი იქნას ორთოფოტოზე.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

1.დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის ახალი ქუჩები და ჩიხები ორთოფოტოს თანახმად შემდეგი რედაქციით:

ა) გაგრძელდეს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელს საბადურის მე-3 ქუჩა;
ბ) დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის მე-4 ქუჩა, მე-4 ქუჩის I და II ჩიხი ;
გ) დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის მე-5 ქუჩა.

2.დაევალოს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს შესაბამისი ინდივიდუალური - სამართლებრივი აქტის „ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის ახალი ქუჩებისა და ჩიხების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის ინიციირება.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე
1	კომისიის წლიური ანგარიშის წარდგენა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შემოწმება - მონიტორინგი	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	შპს სარაგბო კლუბი „ფირალები“ - ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს სარაგბო კლუბი „ფირალები“ - ს დირექტორი
4	საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წლის მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმა.	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 11:30 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ნესტან ბერიძე